№ 238
პარასკევი, 6 ნოემბერი, 1898 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

ივერია

№ 238
პარასკევი, 6 ნოემბერი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერია“

გამოვა 1899 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქცია,
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და
ბაქოში, სიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ.
ტელეფონი № 227.
სატელეგრაფო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

ქართველ-ქალთა
ამხანაგობის
სახელოსნო-სამკერვალო
(ბარონის ქუჩაზედ, თამამშოვის სახლებში № 12)

მსურველთ შეუძლიანთ განაცხადონ სურვილი იმისი, რომ პატარა ქალები მიაბარონ სასწავლებლად.

აქვე იღებენ შესაკერად ყოველგვარს ქალის ტანთ-საცმელს.

(5 — უ. — 3)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

ახალი ამბავი

⁂ კვირას, 8 ნოემბერს, ავლაბრის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში მწირველი ბრძანდება მისი მაღალყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე. წინა დღეს ლოცვასა და ცისკარს გარდაიხდის ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი ლეონიდი.

⁂ დღეს, 6 ნოემბერს, დანიშნულია ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს ქალაქის გამგეობისა და საბჭოს კომისიის მოხსენება შესახებ იმისა, როგორ უნდა იდღესასწაულოს ქალაქმა მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელმწიფო სამსახურის 50 წლის შესრულების დღე 8 ნოემბერს.

ქალაქის გამგეობისა და კომისიის საკრებულო წარუდგენს ქალაქის საბჭოს მოხსენებას იმის შესახებ, რომ ტფილისის წმ. ოლგას საბებიო ინსტიტუტში დაარსდეს ერთი სტიპენდია დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელობაზედ და მტკვრის პირას მდებარე „ნაბერეჟნი“ ქუჩას სახელად დაერქვას „დიდის მთავრის“ ქუჩა.

⁂ 4 ნოემბერს სასანიტარო-სამკურნალო საბჭომ სხდომაზედ დაადგინა აარჩიოს ქალაქის სასანიტარო აღმასრულებელი კომისია და აღძრას შუამდგომლობა ქალაქის საბჭოს წინაშე, რომ ქალაქი რამდენსამე სასანიტარო ნაწილად იქმნას დაყოფილი და თითო ნაწილს გამგედ განსაკუთრებული სანიტარი დაენიშნოს.

⁂ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ დაავალა გუბერნიის ადმინისტრაციას დიდი ყურადღება მიაქციოს სხვა და სხვა სასმელების დუქნებს და ტრაქტირებს, რომლებიც ისე უსუფთაოდ ინახებიან, რომ ხშირად მათის წყალობით ათას გვარი გადამდები სენი ვრცელდება და იზრუნოს მათის დასუფთავება-დაწმენდისათვის.

⁂ ტფილისის წყლის მილის გამგემ, ინჟენერმა მიხაილოვმა თანამდებობას თავი გაანება.

⁂ 4 ნოემბერს ქალაქის ბოქაულებმა წარუდგინეს ტფილისის პოლიცმეისტერს ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენს სახლის-პატრონს შეუდგინეს ოქმი ქუჩების დაუსუფთავებისათვის იმ დღიდგან, რა დღესაც სავალდებულო დადგენილება იქმნა გამოცემული ქუჩების დასუფთავების შესახებ. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, პოლიციას ქალაქის პირველ ნაწილში 29 ოქმი შეუდგენია ქუჩების დაუწმენდობისათვის, მეორეში—15, მესამეში—13, მეოთხეში—არც ერთი, მეხუთეში—56, მეექვსეში—3, მეშვიდეში—15, მერვეში—59, მეცხრეში—96 და მეათეში—38, სულ 324 ოქმი. ამ რიცხვიდგან განხილულ იქმნა მოსამართლეების მიერ 129 ოქმი. სახლის პატრონები დაჯარიმებულ იქმნენ 50 კაპ. 10 მანეთამდე. განსახილველია კიდევ 195 ოქმი.

⁂ 3 ნოემბერს სხდომა ჰქონდა ამიერ-კავკასიის რკინის გზის საბჭოს. საბჭომ, გაზეთ „კავკასის“ სიტყვით, დაადგინა შეადგინოს რკინის გზის სასანიტარო კომისია ხსენებულის გზის უფროსის თავმჯდომარეობით. ამას გარდა საბჭომ დაადგინა რკინის გზის სხვა და-სხვა ადგილას შემდგარ იქმნას 11 მცირე კომისია.

⁂ გაზ. „ცნ. ფურ.“-ს სიტყვით, ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ განიხილა და წარუდგინა სამინისტროს დასამტკიცებლად წესდების პროექტი გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა, რომელიც აზრადა აქვთ დააარსონ ქუთაისში.

⁂ სოფ. სანება, (ბარის ოსეთი). ოც-და-შვიდს ოქტომბერს ბარის ოსეთში ორ გოჯამდე თოვლი მოვიდა. თოვლის მოსვლისთანავე სიცივეები დადგა, მაგრამ ზარალი არაფრისთვის მიუცია, რადგანაც სიმინდების მტვრევა თითქმის სულ გაათავეს.

⁂ ანაკლია, (ზუგდიდის მაზრა) აქ ბოლო დროს მეტად იმატა რო-

ფელეტონი

სიყვარულის ვაზი

ქისტური გარდმოცემა
(ივანე ცისკარაშვილისა)
თარგმნილი რუსულიდგან
(დასასრული *)

— ომარ-ალის მწყემსო! მკაცრად შეუტია აღშფოთებულმა ქალმა,— იცოდე, ცოცხალს ვერ მომეკარები, მკვდარი დაგიხვდები (სახელოში დამალული ხანჯალი აჩვენა). დიაღ, ღარიბი და უბედური ვიყო და უპატიოსნო-კი არას დროს არ ვიქნები. შენ-კი ღირსი იქნები ვაჟკაცის სახელისა, რომ ხელი შეახო იმ ქალს, რომელმაც თავ-შესაფარი გთხოვა, რომელსაც და დაუძახე? ჩემი სიყვარული ომარ-ალის მიმართ შეუცვლელია. დიაღ, მომატყუოს, მიღალატოს, გამაგდოს, დიაღ სულმდაბალი და ვერაგი იყოს, მაინც მიყვარს და სიკვდილამდის მეყვარება კიდეც!..

საშიშარს სანახავს წარმოადგენდა სურხაი ქალის მკაცრ სიტყვების შემდეგ. მისი სახე აღნიშნავდა ხან სირცხვილს, ხან სიყვარულს და ხან შურის ძიებას. მისი ჩაქინდრული თავი, ანთებული სახე, ჩასისხლიანებული თვალები და მძიმე სუნთქვა ამტკიცებდა, რომ გულთან საშინელ ბრძოლაში იყო.

— კარგი, დაწყნარდი, გაზელო, ძლივს წარმოსთქვა ბოლოს ქისტმა: მაგრამ მე მაინც მეცოდები. ომარ-ალის სიყვარული დაგღუპავს... მე წავალ ომარ-ალის მოსანახად და შენ მანამდის წყაროსთან დაჯექ. არ შეგამჩნიოს აქ თუშების ბელადმა შეთემ, რომელიც მთებში დადის და ჩვენს ცხვარს ჰხოცავს და აწიოკებს!

— მაგეთი სიბრალული ბოროტკაცსაც კი აქვსო, გაიფიქრა ქალმა. მაინც დაემორჩილა მწყემსს და წავიდა ნაჩვენებ წყაროსთან. გაიარა ნახევარმა საათმა და მთლად დაგლეჯილი და სისხლში გასვრილ ტანისამოსიანი ომარ ალიც მოვიდა.

— ვკონებ, ძალიან დავიგვიანე, უთხრა თავისს მწყემსს და თავისი თოფი მას გადასცა ომარ-ალიმ, რომელმაც ვერ შეამჩნია, რომ მის მახლობლად გაზელი იმყოფებოდა; მაგრამ უმიზეზოდ-კი არ დამგვიანებია. მთის იქით ერთი ირემი მოვკალი; იმას თავი დავანებე და სხვებს გამოვუდექი, მაგრამ ტყეში შევიდნენ და თვალი ველარ მოვკარი. დავბრუნდი უკან და დავინახე, რომ უშველებელი ვეფხვი ჰგლეჯავდა ჩემს ირემს. ჩემის მისვლით სრულიადაც არ შეკრთა შეუპოვარი მხეცი, პირ-იქით, გულ-დინჯად განაგრძობდა ჭამას და გულს ეძებდა პირის გასაგემრიელებლად. ველარ მოვითმინე, გული ყელში მომებჯინა. მე მინდოდა თავის ჭრელ ტყავით გამოეს ყიდნა ჩემს მეტოქეს თავისი კადნიერება. ვესროლე თოფი, მაგრამ თვალმა მიმტყუნა—მუცელში მოვარტყი ტყვია. განრისხდა და შეუპოვრად მეცა და ვიდრე ხმლით შუაზედ გავუპობდი თავს, დამკაწრა თავისის საშინელის ფრჩხილებით... ღამემ მომასწრო.. ხვალ დილა ადრიანად ერთად უნდა გავიდეთ და წამოვიღოთ... ოჰ, როგორ დამცხა! ერთი წყაროდგან ცივი წყალი ამამიტანე.

შენ არ გეუბნები?! წყრომით წამოიძახა ომარ-ალიმ, რა დაინახა, რომ სურხაი ყურადღებას არ აქცევდა; რას ბუტბუტებ მანდ?... ავადა ხარ, თუ გული გიღრინავს? დაწყევლილი მაჰისტი არა ხარ, საძაგელო, ჩქარა მოიტანე წყალი!

— სისხლი მაინც შენი, გაზელო, ჩუმად წაიბუტბუტა მწყესმა, როდესაც წყალზედ წასვლა დააპირა.

— რაო?

— მოვიტან.

— ოხ, ნეტავ ერთი გულ-წრფელი და მართალი კაცი შემხვედროდა, ნაღვლიანად ამოიოხრა თავისთვის ომარ-ალიმ, როდესაც ცეცხლის პირას დაჯდა: იმისთანა კაცს არამც თუ მთელს ჩემ საცხოვრებელს და ავლა-დიდებას ვანდობდი, არამედ სიყვარულსაც-კი. ეხლა იმისთანა კაცი რომ მყოლოდა, გავგზავნიდი ჩემ გაზელოსთან შესატყობლად: ვუყვარვარ თუ არა? ეგ-კი, ეგ მაჰისტის ძაღლი, არსად არ წავა, სულ რამდენიმე ნაბიჯია წყარომდის და იქ წასვლაც-კი ეზარება... ძაღლი ათასწილად სჯობია მაგას: ძაღლი ერთგულია, თავ გადადებით უყვარს ის, ვინც პურს აჭმევს. ჩემს მწყემსს-კი, რაც მეტ სიკეთეს ვუწევ, იმდენად უფრო გული ჩემზედ უღრინავს. სჩანს თვით ღმერთს ასე გაუჩენია ქვეყანა, რომ უბოროტოდ სიკეთეც არ შეიძლება..

— ამ დროს სურხაიც გამოჩნდა ხელ-ცარიელი.

— ხომ არ დაშრა ჩვენი წყარო? ჰკითხა ომარ-ალიმ: ან იქნება სიბრაზით ჭურჭელი გასტეხე?

— დაშრობაზედ უარესია, შეშინებულის სახით უპასუხა მწყესმა: ბოროტი სული დაჰპატრონებია ჩვენ წყაროს. თუ არ განვშორდით ამ ალაგს, ჩვენც დაგვეპატრონება... წყეულმა ჭურჭელი წამართვა და კინაღამ არ დამარჩო?..

— ვიცოდი, რომ დიდი ხანია, რაც გეპატრონება ბოროტი სული. ეხლა ვნახოთ, მე როგორ დამეპატრონება, სთქვა ზიზღით ომარ-ალიმ, მოავლო თოფს ხელი და წყაროსაკენ გაიქცა.

წყაროსთან ომარ ალიმ მართლა შავი რაღაც დაინახა.

— ვინ ხარ, რადა ჰზიხარ ჩემს წყაროსთან? ხმა მაღლა შესძახა ომარ-ალიმ: თუ ადამიანი ხარ, მიპა-

---

*) იხ. „ივერია“, № 237

გორც აქაურმა, ეგრედვე სამზღვარგარეთის ვაჭრობამაც. აქაურ მცხოვრებთ განუზრახავთ თხოვნით მიმართონ მთავრობას, რომ ერთი დამოჟნის მოხელე მაინც მოუმატონ. ეხლა აქ ერთი მოხელეა დამოჟნისა. უმთავრესი ადგილი აქ, სხვათა შორის, ვაჭრობაში სიმინდს უჭირავს. განზრახვა აქვთ აგრეთვე გამართონ შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რომ აქ დაარსებულ იქმნეს ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაც, რომელიც მოვაჭრეთა და მცხოვრებთათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ძლიერ სასარგებლოც იქმნება. ადგილობრივმა მღვდელმა ს. თათარაშვილმა გამართა ერთკლასიანი სამრევლო სკოლა. 10 ოქტომბერს დ. ანაკლიაში გამართულ იქმნა „სალიტერატურო“ საღამო, რომელზედაც თითქმის ანაკლიის ყველა მცხოვრები დაესწრო; წაკითხულ იქმნა ზოგიერთი საუკეთესო ლექსები და მოთხრობები; საზოგადოება მადლიერი დარჩა ამ საღამოსი. ამავე დროს შეკრებილი სკოლის ასაშენებლათ ფული—22 მ. 50 კ. უკვე გარდაცემულ იქმნა დანიშნულებისამებრ.

⁂ სოფ. კარიანი, (გორის მაზრა). ამ სოფლის შუაგულს სდგას ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, საკმაოდ ზომიერი და საკმაოდ მშვენიერი თავისს ქვითკირის გალავნით, რომელიც აშენებულია აქაურის გლეხებისაგან 1835 წელს ნაცვლად „ძველის ალიზის ეკლესიისა“. გარდა ამ სამწირველო ტაძრისა, არის აქ ძველის დროის ტაძარი; ეს ტაძარი მიემსგავსება იმ ძველს ეკლესიებს, რომელთაგანი არა ერთი და ორი გვინახავს ჩვენ. ამ ტაძრის სამ კარებ შორის, ერთი—ჩრდილოეთ მხარეს ყოფილა უმთავრესი, რომლის ზემოთ მაღლა კედელში არის დატანებული მწვანე ქვა მშვენიერის ჩუქურთმით; სამხრეთის მხრის შესავალ კარებ ზემოთ დიდს ქვაზე არის წარწერა ხუცურის ანბანით, მაგრამ სიძველისა გამო ველარ ამოიკითხება; უწინ აქ პატარა სოფელი ყოფილა და შიშიანობის დროს, როდესაც მტერს აუოხრებია, მრავალი მათგანი ტყვედ წაუსხამთ. ამ ეკლესიას გუმბათი ჩამოენგრია და არავინ ფიქრობს განახლებას.

ერთს ქვაზე შემდეგი წარწერაა: „ამ ლოდსა ქვეშ განისვენებს გვამი სოფლის ვარიანის ყოვლად წმინდის ღვთის-მშობლის ეკლესიის მღუდლის სვიმონ გოგებაშვილისა, რომელიც მიიცვალა ამიერ სოფლით ჩყძღ-ს წელსა დეკემბრის ბ-ს დღესა, შობიდგან ჲდ სა წლისა; აღმომკითხველნო შენდობა უბრძანეთ. ეს ქვა დაადო თავისს ძვირფასს მამას შვილმა იაკოფმა“. მეორე ქვას აწერია: „მომიხსენე უფალო სასუფეველსა შენსა, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა სოფლის ვარიანის ყ͠დ წმინდის ღვთის-მშობლის ეკლესიის მღუდელის სვიმონ გოგებაშვილის მეუღლე მაგდან გარდაცვალებული ჩყოგ-ს წელსა ნოემბრის ვ-ს დღესა შობიდგან ჲა წლისა. აღმომკითხველნო, შენდობა უბრძანეთ. ეს ქვა დაადო თავისს ძვირფასს დედას შვილმა იაკოფმა“. ამ პატიოსანს მ. სვიმონს უმსახურნია ამ ეკლესიაში 1832—1869 წლამდე; მაშინ, ე. ი. 1832 წ. მას ჰყოლია ორი შვილი: იოვანე და დიმიტრი. ხოლო სულ ათი შვილი ჰყოლია მ. სვიმონს: ივანე, დიმიტრი, თინათინ, ზაქარია, ეკატერინე, იაკობ, ანდრია, ეფემია, ალექსი და ზაქარია. ამათგან ამ ჟამად მხოლოდ ორი-ღაა ცოცხალი: იაკობი და ეფემია. ბ-ნი იაკობი 58 წლისაა, იგი დაბადებულა 1840 წელში ოქტომბრის 15 დღესა.

⁂ რადგანაც ტფილისის ქუჩების უმეტესი ნაწილი არა სანიტარულ მდგომარეობაშია, ტფილისის პოლიცმეისტერმა 3 ნოემბერს უბრძანა ქალაქის ბოქაულებს, თვით დაათვალიერონ ის ადგილები, რომელნიც უსუფთაოდ ინახება. ოქმები შეუდგინონ ამ ადგილის სახლის პატრონებს და საზოგადოდ იზრუნონ და განკარგულება მოახდინონ ამ ადგილების დასუფთავება-დაწმენდისათვის. ამას გარდა, ამ ბრძანების ძალით პოლიციის მოხელენი ვალდებულნი არიან დაიარონ ყოველ-დღე დილის 8 საათამდე იმ ნაწილის ქუჩები, მოედნები და ეზოები, რომელიც მათ აბარიათ და თუ სადმე სასანიტარო წესების დარღვევას აღმოაჩენენ, დაუყოვნებლივ აცნობონ ბოქაულებს. ამასთან პოლიცმეისტერი აცხადებს, რომ ის პოლიციელნი და პოლიციის მოხელენი, რომელნიც ამ განკარგულებას სავსებით არ აღასრულებენ, ან ზარმაცად მოეკიდებიან, დასჯილ ან თანამდებობიდგან დათხოვნილ იქმნებიანო.

⁂ გორის მაზრის მცხოვრებმა აზნაურმა იოაკიმ ორჯონიკიძემ 4 ნოემბერს განაცხადა პოლიციაში, რომ ჩემი შვილი, პავლე, 11 წლისა, სადგურ ხაშურის რკინის გზის სასწავლებლის მოსწავლე, რამდენისამე დღის წინად ამავე სასწავლებლის მოსწავლეებთან გელაშვილსა, ურთხემელიძესა და ბოკერიასთან ერთად სადღაც დაიკარგაო.

⁂ 3 ნოემბერს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ აქსტაფაში, ვაგონის დატვირთვის დროს, მუშა ნიკ. ძელიშვილმა მარჯვენა ფეხი მოიტეხა. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

ქართული ეკლესიის კურთხევა კავკავში.

პირველი ნოემბერი კავკავის ქართველებისათვის ნამდვილად შესანიშნავი დღე შეიქმნა, რადგანაც დღეს კავკავის ქართველებს სრულიად განუხორციელდათ ის დიდი ხნის კანონიერი სურვილი, რომელსაც ციურ მანანასავით მოელოდა ყველა აქაური ქართველთაგანი. დღეს კავკავისა და მოზდოკის ეპისკოპოსმა ყ-დ სამღვდელომ ვლადიმირმა აკურთხა ქართველთა ეკლესია, რომელიც, როგორც მკითხველებმა უწყიან, ამ ცოტა ხნის განმავლობაში ააგეს კავკაველ ქართველებმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სკოლასთან. ამ დღისათვის უნდა მოსულიყო კავკავში ქართველთათვის სამღვდელოდ დანიშნული გიოგი ნათაძე, რომელიც ეკლესიის კურთხევის დღესვე ხელდასმულ უნდა ყოფილიყო აქვე, მაგრამ ხსენებულს რიცხვებში ბ-ნი ნათაძე ვერ მოვიდა კავკავში. შაბათს ღამეს 31 ოქტომბერს კავკავის ქართულ სკოლის ეკლესიაში ლოცვა, მწუხრი და ცისკარი შეასრულეს საკათედრო სობოროს დეკანოზმა და სხვა სამღვდელოებამ დიაკვნებით; მეორე დღეს, კვირას, დილის 8 საათზედ კავკავის სკოლის მოწაფენი თავიანთ მასწავლებლებით და მშობლებით წავიდნენ მღვდელმთავრის ეკლესიაში, საიდგანაც გალობით მოასვენეს სკოლის ეკლესიაში მოზდოკის ყ-დ წმიდა ღვთისმშობლის სასწაულთ მომქმედი ხატი. ცხრა საათზედ სასწავლებლის ეკლესიაში მობრძანდა ყ-დ სამღვდელო კავკავის ეპისკოპოსი ვლადიმირი, რომელსაც ეკლესიის კარებთან მიეგებნენ კავკავის სკოლის მოწაფენი, მასწავლებლები, სკოლის გამგე და სხვა ქართველობა-ეკლესიის კურთხევას დაესწრო აუარებელი ხალხი, ბევრი უადგილობისა გამო იძულებული შეიქმნა უკან დაბრუნებულიყო. წარჩინებულ პირთაგანიც ბლომად დაესწრენ ეკლესიის კურთხევას. ეკლესიის კურთხევის და წირვის შემდეგ ყ-დ სამღვდელომ კავკავის ეპისკოპოსმა ვლადიმირმა წარმოსთქვა ადგილისა და დროს შესაფერი სიტყვა. მწყემს-მთავარმა თავისი სიტყვა დაიწყო იქიდგან, თუ რა მნიშვნელობა აქვს სკოლას და ეკლესიას და განმარტა რა მზგავსება და განსხვავება არსებობს ამ ორ სასარგებლო დაწესებულებათა შორის, ამის შემდეგ ილაპარაკა სარწმუნოებაზე და მისს დიდს მნიშვნელობაზე ერის დღეგრძელობაში; ყ-დ სამღვდელომ მოიხსენა ის გარემოება, რომ სარწმუნოებამ და ერთობამ შეინახა ქართველი ერი დღემდის, თორემ ბევრი ის ხალხი, რომელიც ქართველებთან ერთად გამოსულან ისტორიულს ასპარეზზე ან წინ ცოტათი, ან შემდეგ და არ ჰქონიათ მტკიცე ქრისტიანული სარწმუნოება, დღეს აღგვილია დედამიწის ზურგიდგან და იმათ შესახებ წარსულ ცნობებს მხოლოდ წიგნებში თუ ამოიკითხავთ, თორემ არც აწმყო და არც მომავალი მათთვის არ არსებობსო. ამას გარდა მომავალი ერის მტკიცე ქრისტიანობრივი სარწმუნოება იმითიც მტკიცდება, რომ მთელი მთა და ბარი საქართველოისა მოცულია ნანგრევ ეკლესიებითო. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველ დ̃ ახალ ქართველთა შორის სიმტკიცე სარწმუნოებისა ყველგან არ არის სასურველს მდგომარეობაში ამ ჟამად, მაგრამ ქების ღირსნი არიან კავკაველი ქართველები, რომ ამ ხუთის წლის წინად სკოლის შენობა ააგეს თავიანთი შვილების გონებრივად დ̃ ზნეობრივად აღსაზრდელად და დღეს-კი ხუთის წლის შემდეგ ასეთი მშვენიერი ეკლესიაც მოაწყვეს, რომლის კარები ღია უნდა იყვეს ყველასთვის—ე. ი. ეკლესია იგივე სკოლაა, სადაც თავისუფლად შეუძლიან სარწმუნოების მხრით სწავლის მიღება ყველას განურჩევლად წლოვანებისა და წოდებისა. ამასთან კავკაველ ქართველთათვის დღევანდელი დღე უნდა იყოს სასიხარულო იმ მხრითაც, რომ დღეს, ეკლესიის კურთხევის დროს, ამ ტაძარში ასვენია ყ დ წმიდა ღვთისმშობლის სასწაულთ მომქმედი ხატი, რომელიც ოდესმე საქართველოს მეფემ დიდებულმა თამარმა აკურთხა და გამოუგზავნა ოსებს. ეს ღვთის მშობლის ხატი დღეს განგებით ისევ მოუბრუნდა ქართველებს, ამიტომ „ესე არს დღე უფლისა ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინაო“.

წირვის შემდეგ ყ-დ სამღვდელო ვლადიმირი თანა მწირველებით-არდონის არქიმანდრიტის მამა იოანნეს და სხვა დეკანოზებით და აგრეთვე ყველა საპატიო პირები მიწვეულნი იყუნენ საუზმეზედ,—რომელიც გამართულ იქმნა ახლად აგებულის სკოლის დარბაზში. როდესაც ყ-დ სამღვდელო კავკავის ეპისკოპოსი შებრძანდა სკოლის დარბაზში, იქვე დაუხვდა რამდენიმე ქართველი, რომელთაც მიართვეს მღვდელ-მთავარს ძღვნად სამღვდელ-მთავრო კვერთხი რუსულ-ქართულად ზედ წარწერით და ადრესი, დახტამბული რუსულად და ქართულად. ადრესის ზემოდ გამოსახული იყო ყ-დ წმიდა ღვთის მშობლის, ქართველთა განმანათლებელის მოციქულთა სწორის ნინოს, მოციქულთა სწორის წმიდა ვლადიმირის სურათები.

ეს ადრესი შემდეგია:

სუხე!

პასუხი არ იყო.

— მიპასუხე, გიმეორებ, თუ არა თოფს გესვრი!

სთქვა ეს ომარ-ალიმ თუ არა, მოსწია კიდეც ჩახმახის ფეხს. თოფმა იგრიალა და ქალის ნაზი კივილი მოესმა ახალგაზდა ქისტს. მისმა გულმა იგრძნო, რაც მოხდა... როგორც ვეფხვი, მივარდა იგი უბედურ მსხვერპლს და მომაკვდავი გაზელო ჩაიკრა გულში. დაუნდობელს ტყვიას საბრალო ქალისთვის გულის ფიცარი შეენგრია. სიკვდილთან საშინელ ბრძოლაში მომაკვდავს კიდევ შეეძლო მილეულის ხმით ეთქვა:

— ომარ-ალი, ერთის შენის ნახვის შემდეგ მე თითონ მსურდა სიკვდილი, შენი სიყვარული საიქიოსაც-კი არ მომესპობა...

გაათავა თუ არა, მისი ცივი ხელი ულონოდ დაეშვა საყვარელ ქისტის გულზედ...

— მოკვდა!.. წამოიძახა საშინელის ხმით ომარ-ალიმ, მაგრამ ალბად თითონ ღმერთი, რომელმაც სიყვარული დააარსა, არ მოისურვებს, რომ შეყვარებულები განშორდნენ ერმანეთს... არა გაზელო, ჩვენ ერთმანეთს არ განვშორდებით!..

მიიტანა მკვდარი გაზელო და მიასვენა ცეცხლის ნაპირას. ამ დროს ცოტა მოშორებით იფეთქა ცეცხლმა. მიიხედა ომარ-ალიმ და დაინახა სურხაი, რომელიც თავისის ბოროტ განზრახვის დასასრულებლად, ომარ-ალის უმიზნებდა თოფს.

ომარ-ალი მივარდა და შეჰყვირა;

— ვერ მიაღწევ ბოროტ სურვილს, ბოროტმა სულმა გიღალატა. შენ შენს სულს საიქიოსთვის კარგ მონებს უმზადებდი, მაგრამ, იცოდე, იქაც ისეთსავე მონად დარჩები, როგორც აქ იყავ. მე?! მე არას დროს არ დავტკბარვარ ისე შურის ძიებით, როგორც ეხლა. ჩემსა და გაზელოს სისხლს ვიძიებ... ცავ და დედამიწავ, მთებო და ტყენო, იყავით მოწმენი ჩემის სამართლიანის შურის ძიებისა. გაზელო, გამოვისყიდე ჩვენი სული! სული ჩვენი დამხოცავისა ჩვენს ხელშია *)! ამ სიტყვებით ომარ-ალიმ დასცა სურხაი დედამიწაზედ და თავისის განიერ ხანჯლით გული გაუპო.

— ერთი მიწიერი ანგარიში დამრჩენია, განაგრძო ქისტმა, მოიყვანა თორმეტი დარჩეული ჰედილა და გაზელოს თავს დააკლა.

ამის შემდეგ მივიდა ომარ-ალი, დაიჩოქა გაზელოს წინ, და სთქვა:

— მე არაფერი მიქმნია იმისთანა, რომ შენი ღირსი იყოს, ჩემო გაზელ! ერთადერთი სიცოცხლე-ღა შემრჩენია და შენის სულის სახსენებლად ვწირავ ამასაც!..

დაიკრა გულში ხანჯალი და უსულოდ დაეცა საყვარლის გვამზედ.

—

ერთის მთის ძირას, მჩქებარე არგუნის კიდეზედ, თოვლით მოსილ მთების შორის მგზავრს თვალ-წინ ეშლება მწვანე ბალახით და ათასფერ ყვავილებით შემკული მშვენიერი პატარა ვაკე. იქ, ძველ მეჩეთის ნანგრევებთან, შეიყარა აუარებელი ხალხი არა იმისათვის, რომ თავიანთ წმიდანის დღესასწაული გაემართა, არა, ყოველ იქ მყოფის სახეზედ ღრმა სევდას ამოიკითხავდით. მიწაზედ განისვენებდა ორი მდიდრად ჩაცმული მიცვალებული. მათ ახლო მოსჩანდა განიერი საფლავი და მოლლა სევდიანის ხმით უკითხავდა განსვენებულებს ყორანიდგან ლოცვებს.

ეს ორი მიცვალებული გაზელო და ომარ-ალი იყვნენ. განისვენებდნენ ისე, როგორც წინა ღამეს იპოვნეს გადახვეულები, ორივე შეყვარებულს ტუჩებზედ ღიმილი შერჩენოდათ. ასე ეგონებოდა მაყურებელს, ცოცხლები არიან და ეს არის ეხლა გადახვევიან ერთმანეთსაო...

მაგრამ, როდესაც გაათავა მოლლამ ლოცვა, და ორი გვამი ერთად ჩაუშვეს საფლავში, საერთო გოდება და ტირილი ასტყდა ხალხში. განსვენებულების მშობლები და ნათესავები, ჩვეულებისამებრ, მუშტებს გულში იცემდნენ და ფრჩხილებით სახეს იკაწრავდნენ.

— მართალია, ჰკითხა ერთმა, რომ გაზელოს დედამ თავი დაირჩო არგუნში?

მართალიაო, უპასუხა მეორემ,— ან რაღად ეცოცხლნა? თურახები-მახმუდი და ცრუ იბრაგიმ, რომლების მიზეზითაც ეს უბედურება მოხდა, სასამართლოს ხელში ჩავარდნენ: იმამმა (შამილმა) თავები დააყრევინა.

— სურხაის გვამი?

— სურხაის გვამი არ მიიღო მიწამ, როგორც ალლაჰი არ მიიღებს იმისს სულს. დილით რომ მოვედით, მარტო მისი ნადირისაგან დახრული ძვლები ვიპოვეთ!..

გაიარა რამდენმამე წელიწადმა მას შემდეგ. რაღაცა გაუგებარ შემთხვევით გაზელოს და ომარ-ალის საფლავზედ ორი ვაზი ამოსულიყო, ასულიყვნენ მახლობლად მდგარს ხეზედა, როგორც საფლავში შეყვარებულები, ერთმანეთს გადაჰხვეოდნენ. ვაზის საფლავზედ ამოსვლა და ხეზედ იმათი ერთად გადახვევა ხალხმა ღმერთის სასწაულს მიაწერა და მას შემდეგ ეს ალაგი თაყვანისსაცემლოდ აღიარა. ეხლა ქისტეთში, დაქორწინების შემდეგ, ახლად დაქორწინებულები თავიანთ მოვალეობად სთვლიან მივიდნენ ამ საფლავზედ და სიყვარულის ვაზის წინ ერთმანეთს ერთგულება შეჰფიცონ.

ივ. ბ—ლი

---

*) თითქმის კავკასიონის ყველა მთის ხალხი, რომელსაც ძალიან ბინდ-ბუნდი წარმოდგენა აქვს საიქიოსი, დარწმუნებულია, რომ მოკლულის სული საიქიოს მონაა მკვლელისა, ვიდრე მისი ნათესავები შურის ძიებით არ გამოიხსნიან.

ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო,
მოწყალეო მთავარ-მწყემსო და
მამაო!

განგებითა ღვთისათა, ნებითა თვით უპყრობელესის ხელმწიფისა და რუსეთის ეკკლესიის უწმიდესის მთავრობის დადგენილებითა 1893 წლიდგან თქვენ ჩაბარდათ კავკასის ეპარქია. დიდად სამძიმო და სანანებლო იყო თქვენთვის განშორება იმ სამწყსოსაგან და გარშემორტყმულ მოღვაწეთაგან, რომელთა შორის გაატარეთ 18 წელი ძვირფასის სამშობლოს და მართლ-მადიდებლის ეკკლესიისათვის სასარგებლოდ ფრიად ნაყოფიერ შრომაში. ალტაიისა და კირგისიის მხარეს გამოთხოვების დროს, როცა ჰშორდებოდით ერთგულ თანა-მოღვაწეებს ჴ სამწყსოს, თქვენი მეუფება მოიცვა შემდეგმა ფიქრებმა: „არ ვიცი რა მომელის ახალს ასპარეზზედ, აქედგან შორეულს მხარეში, კავკასიონის მთებშიო“, მაგრამ მშვიდად ჰკისრულობდით ყოვლად მოწყალის უზენაესის ნებას. მეფეთა-მეფე, რომელზედაც დამოკიდებულია ყველა ადამიანის მომავალი ბედი, თუ უბედობა, ყოვლითვის სიფრთხილით იფარავს ზეგარდმო მადლით ცხებულს ჴ ღვთიურის ნიჭით დაჯილდოებულს ადამიანს. ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, უზენაესს არსებას თქვენც დაუჯილდოებიხართ იშვიათის თვისებით—ამოძრაოთ ხალხის გული და ჰმართოთ საქმენი მათნი სასურველად. ამის გამო, თქვენო მეუფებავ, ახალს სამწყსოშიაც ძალიან მალე დაიმსახურეთ საზოგადო პირუთვნელი სიყვარული და მისწრაფება თქვენდამი მთელის სამწყსოისა ნამდვილის მამობრივისა და მწყემს-მთავრულის ზრუნვისათვის. საზოგადო ღვაწლთა შორის, რომელიც მიუძღვის თქვენს მეუფებას მთელს ეპარქიაში, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დახმარება, რომელიც გაუწია თქვენმა მეუფებამ ადგილობრივს ქართველებს ზნეობრივად წარმატების საქმეში. პირველს დღიდგანვე კავკავში მობრძანებისა თქვენ მიაქციეთ მწყემს-მთავრული ყურადღება კავკავის ქართველთა სარწმუნოების მხრივ დაქვეითების საქმეს, დაუახლოვდით და გაიგეთ მათი არსებითნი სულიერნი საჭიროებანი—თქვენის პირველის ქადაგებით, ქართველებთან ალერსიანად და თანაგრძნობით მოქცევით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სკოლის შენობის კურთხევის დროს, თქვენმა მეუფებამ ერთბაშად მიიზიდა კავკავის ქართველობა, რომელშიაც განაღვიძეთ მიმქრალი სარწმუნოებრივი გრძნობანი, თავი მოუყარეთ ერთად და შემოიკრიბეთ გარს ქართველები, განამტკიცეთ მათში ნდობა და რწმენა სასწავლებლის მიმართ, რომელიც გამოიხატება დღეს მოწაფეთა რიცხვის სამჯერ უმეტესობით. ამის შემდეგაც არ გვაკლებდით თქვენს მზრუნველობას, თქვენი მეუფება ხშირად ჰნიშნავდა სასულიერო და საზნეობრივო საუბრებს ყველა ჩვენთვის ადვილად გასაგებს მშობლიურს ენაზედ, იწვევდით ზოგჯერ ქართველ მღვდლებს ღვთის მსახურების შესასრულებლად, თქვენმა მეუფებამაც რამდენჯერმე წარმოსთქვა საღმრთო სიტყვები ჩვენს დედა ენაზედ; გვირგვინად ყველა თქვენის მეუფების მიერ მოღვაწეობისა ჩვენდა სასარგებლოდ შეიქმნა სასწავლებლის ეკკლესია. ყველა ჩვენდა სასარგებლოდ საქმეების განხორციელების დროს თქვენ ხელმძღვანელობდით მაღალის კაცთ-მოყვარეობითის სურვილით და აზრით, რომ საჭირო სწავლა მოძღვრება და ქრისტიანული ჭეშმარიტებანი გადაცემული იქმნას გასაგების ენით, რომ მან ღრმად გაიდგას ფესვები ხალხის გულში. ყველა ამა საქმისათვის კავკავის ქართველები გულის ღმობიერად და უღრმესის მადლობით, მხურვალე ლოცვას აღვავლენთ უზენაესის საკურთხევლის წინაშე და შევსთხოვთ თქვენის მეუფების, მოწყალე მწყემს-მთავრის და სულიერის მამის მრავალ ჟამიერ დღეგრძელობით სიცოცხლეს თქვენის სამწყსოს სასარგებლოდ და ასაყვავებლად.

ადრესი წაუკითხა ყ-დ სამღვდელოს ალ. პეტ. სარაჯიშვილმა; კვერთხი მიართვა იოსებ გრიგოლის ძე შვილევმა. საუზმეზე, რომელსაც დაესწრო ბლომად ხალხი, წარმოსთქვეს სადღეგრძელოები ხელმწიფე იმპერატორისა, საპატიო პირებისა და სხვათა,რომელსაც მოჰყვა საზოგადო მხიარულობა და გახშირებული სიმღერა „მრავალ ჟამიერისა“. საზოგადოთ ყ-დ სამღვდელო კავკავის ეპისკოპოსი ვლადიმირი ძლიერ მადლიერი დარჩა კავკავის ქართველობისა ყველაფერში. დღეს კავკავის სკოლის ეკკლესია სრულიად მზად არის და მოელიან მხოლოდ ქართველს მღვდელს.

კავკავის ქართველობამ იმავე დღეს მიიღო მილოცვის დეპეშა გაზეთ „კავკასის“ რედაქტორის ბ ნის ველიჩკოსაგან.

◆◆

ჰიპნოტიზმი და ზნეობა.

აქაურის გიმნაზიის მოწაფედ ნამყოფის ბ-ნ ფელდმანის ჩამოსვლამ ტფილისში კვლავ მიაქცევინა საზოგადოებას დიდი ყურადღება ჰიპნოტიზმსა და შთაგონებას, რის შესახებაც ამ ბოლოს დროს ბევრსა სწერდნენ და ლაპარაკობდნენ.

ჩვენ გვსურს გავუზიაროთ მკითხველებს, რა აზრისა არის თვით ბ ნი ფელდმანი ჰიპნოტიზმის შესახებ. ბ-ნ ფელდმანის სიტყვით, ჰიპნოტიზმსა ანუ შთაგონებას შეუძლიან განკურნოს ადამიანი იმ გვარ ავადმყოფობისაგან, როგორიც არის, მაგალითად, სიდამბლე, უსინათლობა, სიყრუვე, ბნედა და სხვ. გარდა ამისა შთაგონებასშეუძლიან განაძლიეროს ადამიანის ზოგიერთი გრძნობანიც.

ჰიპნოტიზმის შემწეობით შთაგონებას აგრეთვე დიდი ძალა აქვს ზნეობის მხრივ. ხანდახან ამ შთაგონებას შეუძლიან ცუდის ჩვეულებისა და სურვილის მაგიერად ადამიანს ჩაუნერგოს კეთილი სურვილი და სასარგებლო თვისებანი.

უცხოეთის მრავალნი მეცნიერნი, მაგალითად, ავგუსტ ვუაზენი, ლებო, ბერილიონი და სხვანი, ამტკიცებენ, რომ შთაგონება ჰიპნოტიზმის შემწეობით ზოგიერთ შემთხვევაში საუკეთესო საშუალება არისო ზნეობის გასწორებისათვის.

ვსთქვათ, ჰიპნოტიურ ძილის დროს ადამიანს შთააგონეს რამ. როცა გამოიღვიძებს, ძლიერ მხნედა სცდილობს შეასრულოს ის, რაც შთაგონებული აქვს. და აშკარაა, რომ შთაგონება საუკეთესო საშუალებაა ადამიანის ხასიათის ზოგიერთ თვისებათა შეცვლისათვის.

მკურნალმა ლებომ ქ. ნანსში სცადა ჰიპნოტიზმის შემწეობითა და შთაგონებით 77 ბავშვის განკურნება, რომელთაც ღამე შარდი ვერ დაეჭირათ. ამათში 56 ბავშვი სრულიად განიკურნა, 16 ბავშვს უკეთესობა დაეტყო და მხოლოდ 8 ბავშვზე სრულიად არ იმოქმედა შთაგონებამ.

მკურნალი ბერილიონი ამტკიცებს, რომ მრავალი ბავშვი მოვარჩინე შთაგონებით ტკივილებისა, ბნედისაგან, სიცრუისაგან, ქურდობისაგან და სხვა უფრო ცუდ ზნისაგანაო ხოლო მკურნალი ლებო შთაგონებითვე ზარმაცებსაც-კი სწავლაზედ და შრომაზე ახალისებდა.

ზოგიერთმა მკურნალებმა მოზრდილებზედაც სცადეს შთაგონება და აღმოჩნდა, რომ აქაც შეიძლება შთაგონებით გადარჩევა ბევრის ცუდის ზნისაგან, მაგალითად სიზარმაცისაგან, ქურდობისაგან, ლოთობისაგან და სხვა.

თვით ბ ნმა ფელდმანმა გვაუწყა ზოგიერთი საყურადღებო ამბები.

1887 წელს, ენკენისთვეში ბ-ნს ფელდმანს მიჰმართეს ერთის ვაჭრის ვ—ცკის ნათესავებმა და შესჩივლეს, რომ ვ—ცკიმ ლოთობას მიჰყო ხელი, რის გამოც ეხლა ბნედა მოსდის ხოლმეო. ეს კაცი თურმე უწინ სამაგალითო ქმარი იყო, თვისი შვილები ძლიერ უყვარდა, მდიდარიც იყო. მაგრამ მერე ლოთობას მიჰყო ხელი, სტანჯავდა თავისს ცოლსა და შვილებს, მთელ დღეს ლოთობაში ატარებდა, თავისს საქმეებს თავი მიანება, ასე რომ ექვსის წლის შემდეგ საქმეები სულ აიწეწ-დაიწეწა.

ბ-მა ფელდმანმა 1887 წ., სექტემბერში შთაგონებას მიჰმართა ამ კაცის მოსარჩენად. მას შემდეგ აგერ 11 წელმა გაიარა. ეხლა ეს კაცი საუკეთესო პატრონია ოჯახისა და თავისი საქმეებიც მშვენივრად მიჰყავს. წელიწადში ორჯერ ბ-ნს ფელდმანს წერილით ატყობინებენ ამ კაცის ვითარებას საყურადღებოა. რომ ეს ავადმყოფი ბნედისაგანაც განიკურნა.

აი კიდევ მეორე საყურადღებო ამბავიც.

ერთს მეტად ფაქიზის ზნეობის ოჯახში იყო 16 წლის ჭაბუკი, რომელსაც დასჩემდა ავადმყოფობა—ეგრედ წოდებული კლეპტომანია—სურვილი სხვისის ნივთის მოპარვისა. სასწავლებელში რომ იყო, მუდამ ეჩხუბებოდა ამხანაგებს და რაც მოჰხვდებოდა, ყველაფერს იპარავდა: კალამსა, წიგნსა და სხვ. ყოველისავე ამისათვის სასწავლებლიდგან დაითხოვეს. ვერც სხვა სასწავლებელში გაისწორა ცუდი ზნე ჩვეულება და ბოლოს მშობლებმა შინ მოიყვანეს. აქ ხომ პარვის სურვილი უმეტესად განუძლიერდა. რასაც კი მოიხელებდა, უნდა მოეპარა, სულ ერთია, წიგნი იქმნებოდა, თუ ფული, ტანთსაცმელი, საათი, ვერცხლის კოვზი და სხვ. მოპარული ნივთები გამსესხებელ კასსაში მიჰქონდა და იქ აგირავებდა.

საკვირველი ის არის, რომ მოპარულს ნივთებს ან ფულს სხვებს აჩუქებდა ხოლმე და თითონ არა სარგებლობდა.

მართალია, ზოგჯერ სინიდისი ჰქენჯნიდა, ხოლო იმ დრომდე, ვიდრე კვლავ მოიპარავდა რასმე.

აქაც შთაგონებამ სრულიად შესცვალა ამ ჭაბუკის ხასიათი. ეხლა იგი ერთს სპეციალურს სასწავლებელში სწავლობს და უწინდელის სენისაგან სრულიად განიკურნა.

აი, კიდევ ერთი ამბავიო, უთქვამს ბ-ნს ფელდმანს. ერთხელ მოვიდა ჩემთან ერთი ახალგაზდა კაცი და მითხრა, საუბედუროდ, ისეთი ავადმყოფობა დამჩემდა, რომ რასაც მოვახელებ, უნდა მოვიპაროვო. გთხოვთ, შთაგონებით მომარჩინოთ. მე დავსთანხმდი და დრო დავუნიშნე.

როცა წავიდა, ვნახე, რომ ჩემს ოთახში, სტოლზედ, აღარ აღმოჩნდა ფოტოგრაფიულ სურათების ალბომი. მოპარული ნივთი მხოლოდ მაშინ დამიბრუნა და გამოტყდა ქურდობაში, როცა ჰიპნოტიურ შთაგონებით განვკურნე ცუდის ზნისაგან.

ყოველ ამ შემთხვევაში სენის მიზეზი არის ხასიათის სისუსტე. ბევრი ლოთი, ქურდი და სხვა ცუდის ზნე-ჩვეულების პატრონი თითონვე ჰგრძნობს თავისს ავადმყოფობას, იცის, რომ ცუდად ვიქცევიო, მაგრამ ცუდის ზნისათვის თავი ვერ დაუნებებია. ჰიპნოტიური შთაგონება ისე ჰმოქმედობს უხასიათო კაცზედ, ამბობს ბ-ნი ფელდმანი, რომ მერე ადვილად შეუძლიან დასძლიოს ავს ზნესა და გადააჩვიოს ცუდს ჩვეულებას.

◆◆

რუსეთი

—

შინაურ ფრინველის მომშენებელ რუსეთის საზოგადოებას აზრადა აქვს საკუთარი ჟურნალი გამოსცეს მოსკოვში. შუამდგომლობა ამის შესახებ უკვე აღძრულია მთავრობის წინაშე.

— სამკურნალო დეპარტემენტთან ამ ახლო მ ომავალში შესდგება განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს ათაშანგის წინააღმდეგ საბრძოლველად ღონის ძიებანი.

— მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ამას წინად ქ. ეკატერინოდარმა შუამდგომლობა აღძრა ამ ქალაქში უმაღლეს სამთო ინსტიტუტის დაარსების შესახებ. ეხლა გაზ. „Кур“. სწერს, რომ ეს საგანი მალე განხორციელებული იქმნება, რადგანაც სასწავლებლის დასაარსებლად თანხა ბლომად მოიკრიბაო.უკვე 413,000 მანეთი შეუკრებიათ. აქედგან ქალაქს შეუწირავს-200,000 მანეთი და მიწა სასწავლებლის შენობის ასაგებად; 10,000 მანეთი—მთა-მადნის მწარმოებელთა კრებას, 50,000 მანეთი—მ. ს. კოპილოვს.

— დორპატის უნივერსიტეტის პროფესორებმა და სხვა მოსამსახურეებმა დაადგინეს გადასდონ თავიანთის ჯამაგირიდგან რაოდენიმე ნაწილი მოუსავლობით დაზარალებულთა გუბერნიების სასარგებლოდ.

◆◆

წერილი კონსტანტინეპოლიდგან

—

კონსტანტინეპოლის პოლიტიკოსები ეხლა ცას ქუდად სახვენ და მიწას ქალამნად. სიმართლეც აქვთ, თუ რასაც ჰფიქრობენ გაუმართლდათ. „უდიდესი სტუმარი ოსმალეთისა“,—გერმანიის იმპერატორი, როგორც ესენი ამტკიცებენ, ჰპირდება მათ, რომ ოსმალეთის სამეფო ხელუხლებლად დარჩება და გარდა ამისა ზოგი უკანონოთ ჩამორთმეული ალაგებიც უკანვე დაუბრუნდებაო. [illegible]გი იმედია და ძრიელ სასიქადულოც, თუ-კი ნახევარი მილიონი ლირით, რაც ოსმალეთს დაეხარჯა იმპერატორ ვილჰელმის საუცხოვოდ გამასპინძლებისათვის, ამოდენა საქმეებს გაასწორებს. ბერძნებთან ომში ოსმალეთმა ოცი ამოდენა დახარჯა და არა უსარგებლოა-რა.

გარდა ამისა იმ მხრითაც ძლიერ კარგად სთვლის ოსმალეთი თავისს საქმეს, რომ იგი, როგორც ამბობენ, უერთდება ოთხთა კავშირს. აი, რა ლაპარაკს მოვჰკარი ყური რუსის გემზედ, რასაც აქაც დაბეჯითებით ამტკიცებენ: „ოსმალეთი გერმანიას შეუკავშირდა დამასთან, რასაკვირველია, ინგლისს, ამერიკას და იტალიას. ეს თუ მართალია, ჩვენ ჩქარა მოვესწრებით ორთა კავშირის, რუსეთ-საფრანგეთისა, ჩინეთთან დამეგობრებას და ხუთთა და სამთა კავშირს შორის ატეხილს საშინელს ომსაო“, ჩურჩულობენ სტამბოლში. იაპონია? გაიგონებთ აქეთ-იქით,—რასაკვირველია, ხუთთა კავშირს მიემხრობა, რუსეთსა და საფრანგეთზედ ჩინეთის ომის გამო გაჯავრებულიო“, უპასუხებენ მოსაუბრენი.

მეტი ნაწილი აქაურის გაზეთებისა იმ აზრისანი არიან, რომ იმპერატორ ვილჰელმის მოსვლით ოსმალეთი ბევრს რასმეს მოიგებსო. საზღვარ-გარეთის გაზეთები ფიქრობენ, რომ იმპერატორის მოსვლით გერმანელები მეტს გავლენას მოიპოვებენ ოსმალეთში, მეტადრე სავაჭრო და სამრეწველო მოედანი ერთიათად გაუფართოვდებათო. გარდა იმისა გამბედაობა მოემატათ გერმანელებს და უფრო იმედიანად იქმნებიან და იმეჯი და გამბედაობა ხომ ნახევრად გამარჯვებაო.

იასე რაჭველი

◆◆

უცხოეთი

—

საფრანგეთი და ინგლისი. ფაშოდის გამო ატეხილი დავა და მითქმა-მოთქმა ჯერ კიდევ არ დაწყნარებულა საფრანგეთსა და ინგლისს შორის. ამ დღეებში მარშანმა სიტყვა წარმოსთქვა ქაირში, იქაურ ფრანგთა კლუბში. საფრანგეთშიო, ასე დაიწყო მარშანმა სიტყვა, ძლიერ კარგად ესმით, როგორ დაამცირა იგი ინგლისმა, როგორ გატეხა აზრი ქვეყნიერობის თვალში და ფრანგები გულს-მოდგინედ ემზადებიან ინგლისელებს სამაგიერო გარდაუხადონ თავისს დროზედო. შუა აფრიკიდგან მოსული ფრანგები ეხლა მხოლოდ სალამს აძლევენ და ხელს ართმევენ ეგვიპტეში მყოფს ფრანგებს, მაგრამ ჩქარა ეს მცირე რაზმი ფრანგებისა გაიზრდება და მაშინ საფრანგეთი მოიგონებს იმას, რაც ეხლა წაჰკიდეს მას და თავს არ დაანებებს იმ ვალდებულების შესრულებას, რომელიც მას ისტორიამ არგუნაო.

ამ სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება იქონიეს ლონდონში. რაღა თქმა უნდა, ამ სიტყვებს იქ იმ მნიშვნელობას აძლევენ, რომ საფრანგეთი შესაფერს შემთხვევას მოელის და კარგად რომ შეთოფ იარაღდება, ინგლისს არ შეარჩენს თავის დამცირებასო. ამის გამო ინგლისის ზოგიერთი გაზეთი დარიგებას აძლევს საფრანგეთს და ზოგიც კიდევ ამშვიდებს.

გაზ. „Standard“-ი ამბობს, მაგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლითად, რომ ინგლისზედ თუ გული აიცრუა, საფრანგეთი უფრო ბევრს დაჰკარგავს ამით, ვინემ ინგლისიო; ამ უკანასკნელს სურს კარგი განწყობილება ჰქონდეს საფრანგეთთანო. საფრანგეთი პირველ მაგალითს არ წარმოადგენს, სხვისთვის რომ რამე დაეთმოს; ასეთი საქმე სხვებსაც მოსვლიათ, მაგრამ სიმშვიდე არ დაუკარგავთ, მაშინ როდესაც საფრანგეთმა მოთმინება დაჰკარგა და გვემუქრებაო.

ერთი გაზეთი ამბობს, რომ უკანასკნელ წლებში საფრანგეთი ინგლისის მეგობრად აცხადებდა თავისს თავს, მაგრამ გულწრფელად არასოდეს არ იქცეოდაო. ზოგიერთი გაზეთი-კი ურჩევს საფრანგეთს, ფაშოდის საქმე დაივიწყოს.

გაზ. „Times“-ი ამბობს, რომ ჩვენ ვალდებული არავართ ფაშოდის სამაგიეროდ საფრანგეთს სხვა რამე მივცეთო. მაგრამ, იმავე გაზეთის სიტყვით, ინგლისმა არ უნდა დაივიწყოს, რომ საფრანგეთს მეტი უფლება აქვს ეგვიპტეზედ, ვინემ სხვა რომელიმე სახელმწიფოს. ალექსანდრია მეორე მარსელს წარმოადგენს და ფრანგები აქ ისე გრძნობენ თავს, როგორც თავიანთ სახლში. საფრანგეთის ახალშენი ეგვიპტეში ხუთჯერ უფრო მრავალ-რიცხოვანია, ვიდრე სხვა სახელმწიფოთა ახალშენები. შემდეგ ისიც უნდა ახსოვდეს ინგლისს, რომ საფრანგეთის ფულითა და ცოდნით გაკეთდა სუეცის არხი, რის წინააღმდეგიც იყო მაშინ ინგლისი და კაცის ჭკუის ამ საუცხოვო ნამოქმედარმა ინგლისს უკვე 24 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესძინა. ამნაირად საფრანგეთმა ეგვიპტეში დანაშთენ სახელმწიფოებზედ მეტი დაჰკარგა. ის გასძარცვეს, მაგრამ ომით კი არა, რომელიც ინგლისს ასე თუ ისე გაამართლებდა ამისთანა შემთხვევაში. ყოველივე ამისა გამო სამართლიანობა მოითხოვს საფრანგეთს ეგვიპტის ნაცვლად სხვაგან მიეცეს ადგილი აფრიკაში, რაცა მას დააკმაყოფილებს და რაზედაც სრული უფლება აქვსო.

—

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. კარდინალმა რამპოლომ ისევ ამოიღო ხმა აღმოსავლეთის ქვეყნებში კათოლიკეთა მფარველობის შესახებ. ვატიკანის გაზეთი ამტკიცებს, რომ მარტო ერთი სახელმწიფო უნდა ჰფარველობდეს ოსმალეთში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში მყოფ კათოლიკეთ და ეს სახელმწიფო საფრანგეთია, რომელსაც ამისათვის საშუალებაც მოეპოვება და სამართლიანობაც მოითხოვს, იმას ჰქონდეს ეს უპირატესობაო.

გაზეთის სიტყვით, რაც უნდა კარგი იყოს გერმანიის იმპერატორის განზრახვა—გერმანიის ქვეშევრდომ კათოლიკეთ თითონვე გერმანია გაუწევს მფარველობასო—სარგებლობას ვერ მოუტანს იგი სარწმუნოებას და უფროც არევ-დარევს საქმეს, რაც ეხლავე სჩანს. შეიძლება საქმის ასე გადატრიალებით გერმანიის სახელმწიფომ მოიგოს რამე, მაგრამ ეკლესიას აქ რა შუაშია. გერმანიას შეიძლება დანარჩენმა სახელმწიფოებმაც მიჰბაძონ და ყველამ სათითაოდ მოინდომოს თავიანთ ქვეშევრდომ კათოლიკეთა მფარველობა და ეს ერთობ აწეწავს კათოლიკეთა მდგომარეობას ოსმალეთში. საქმე თუ ასე დატრიალდა, მაშინ ბევრი კათოლიკე დაიჩაგრება ოსმალეთში და საზოგადოდ აღმოსავლეთის ქვეყნებში, რადგან გერმანიას და საფრანგეთს ბევრი ვერ გაუწევს ცილობასო.

—

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. როგორც ზოგიერთი გაზეთი ამტკიცებს, ინგლისი შეჰპირებია გერმანიას, რომ ზანზიბარს დაგითმობ, ამის ნაცვლად თუ მხარს დამიჭერ და წინააღმდეგი არ გახდები ინგლისმა თავის თავი ეგვიპტის მფარველად გამოაცხადოსო. ამასთანავე გარდაუწყვეტიათ, რომ ოსმალეთს მაინც შერჩეს ეგვიპტის უზენაეს მფარველის სახელიო. ევროპა თანდათან უნდა მოამზადოს თურმე ინგლისმა ასეთის ცვლილებისათვის და როცა რაოდენიმე დრო გაივლის, ფორმალურად გააგებინებს თავისს გარდაწყვეტილებას ყველა სახელმწიფოს. მაშინ ეხლანდელს ქედივს გადააყენებს ინგლისი და მის ნაცვლად სხვას აიყვანს ტახტზედ, უფრო სუსტი ხასიათის პატრონ კაცს.

— ამ დღეებში ლონდონში საფუძველი ჩაუყრიათ ახალ სახალხო უფასო სამკითხველოს შენობისა. ეს შენობა 100,000 ფრანკი ჰჯდება თურმე. ამ ბიბლიოთეკის გამართვისათვის ხარჯის მომეტებულ ნაწილს კისრულობს ინგლისელი ფილანტროპი პასმორ ედვარდსი. ედვარდს სამს მილიონზედ მეტი დაუხარჯავს 20 სახალხო ბიბლიოთეკის აგება-მოწყობისათვის. ამ ბიბლიოთეკებთაგან 12 ლონდონშია და 8 კორნვალისში.

—

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. გამოჩენილი ეკონომისტი ლერუა ბოლიე „Journal des Debats“-ში ურჩევს საფრანგეთის საზოგადოებას, რომ სახარის უდაბურს ადგილში (შუა აფრიკაში) დიდი რკინის გზა გავაკეთოთ და ამ გვარად წინ გავუსწროთ ინგლისელებს, რომლებმაც სუდანში გაიმარჯვესო.

—

ᲙᲝᲠᲔᲐ. ერთი გაზეთი წინასწარმეტყველობს, რომ კორეს სახელმწიფო ჩქარა დაემხობა და დაჰკარგავს თავისუფლებასო. იმავე გაზეთის სიტყვით, კორეს გაინაწილებენ ერთმანეთ შორის რუსეთი და იაპონია, მაგრამ, შეიძლება, ბრძოლაც მოუხდესთ ამ ორ სახელმწიფოს—არა მემერგოს მეტი და არა მეო.

ᲓᲐᲛᲐᲙᲕᲘᲠᲓᲘ

ღმერთი შეიწირავს მცირედსა და მიანიჭებს უხვებით, უკუეთუ პოვოს გონება კეთილისა მქმნელი.

სვიმონ მღვდელი (XI საუკ.)

* * *

ცუდი მაგალითი კეთილს ხასიათს ათახსირებს.

ბუნზენი

* * *

კაცი მოძილი მომპოვნელ არს საზმართა, რამეთუ ძილი მესაიდუმლე არს არა საქმეთა, არამედ ოცნებათა.

ნიკოლოზ ტფილელი

ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ

„ხანუმა“, წარმოდგენილი ქ. ქუთაისში.

1-ს ნოემბერს ქუთაისის საქალაქო თეატრში, ქ-ნის ეკატერინე ნიკოლაძის თაოსნობით პირველად სახალხოთ წარმოადგინეს „ხანუმა“, 3 მოქ. კომედია ავქ. ცაგარლისა. მონაწილეობას იღებდნენ სცენის მოყვარენი, რომელთა შორის ერია ჩვენი ნიჭით აღსავსე არტისტი ქალი გაბუნია-ცაგარლისა. ქუთაისის მდაბიო საზოგადოება, რომელსაც ჯერ არ ჰღირსებია იაფ-ფასიანი (ბილეთი 5 კაპ.) წარმოდგენა, აუარებლად მოაწყდა თეატრს, ასე რომ ფეხზედ სადგომი ალაგიც ძლივს მოიძებნებოდა; ბევრი პატივსაცემი მანდილოსანი, რომელსაც ადრევე ვერ მოეფიქრებინა ბილეთის ყიდვა, იძულებული შეიქნა დერეფანში მდგარიყო და კარებიდგან ეცქირა წარმოდგენისათვის.. საზოგადოება დიდად კმაყოფილი დაბრუნდა სახლში და დიდად მადლობელი დარჩა ქ-ნი ნიკოლაძისა... ბევრჯერ გვინახავს ხელოვნებითა და ნიჭით აღსავსე თამაში ნიჭიერის არტისტის ქალის გაბუნია-ცაგარლისა, მაგრამ ასეთის სავსებით ხანუმას როლის ასრულებას არ დავსწრებივართ, როგორც ეხლა! ყოველივე მისი სიტყვა, კილო, სიცილი და მიხვრა მოხვრა ნიჭის მადლით აღბეჭდილი იყო „ვაშას“ ძახილს და ტაშის ცემას დასასრული აღარა ჰქონდა... არა უშავდარა გლეხის ტიმოთეს როლში ბ-ნს მაღრაძეს, ხან-და-ხან რომ არ გადაეჭარბებინა მდაბიო ხალხს შორის სიცილის გამოსაწვევად. კოტე ფანტიაშვილის როლი უშნოდ ასრულა ბ-მა ლ—ძემ, სამაგიეროდ კართუკაანთ ქაბატუას (ქ-ნი ბარძიმიშვილისა) და სონას (ქ ნი ანჯაფარიძისა) როლები ჩინებულად დაუსურათეს საზოგადოებას. საზოგადოდ შრომა . და მომზადება ყველას ეტყობოდა...

პიესის დასასრულს, გაიმართა ლეკური; სხვათა შორის, საზოგადოების სიამოვნება გამოიწვია ქ-ნის ქუთათელაძისა და თავ. დ. დადიანის ლეკურმა, რომელთაც მოხდენილი და მომარჯვებული ცეკვა საზოგადოებამ რამდენჯერმე გაამეორებინა. ჭეშმარიტად დიდის მადლობის ღირსია ქ ნი ეკ. ნიკოლაძისა, რომელმაც ბევრი შრომა გასწია ამ საქმის რიგიანად მოგვარებისათვის და პირველი ნაბიჯი სახალხო წარმოდგენების ნიადაგზე ასეთის წარმატებით აღბეჭდა... ღმერთმან ჰქმნას, რომ ეს ნაბიჯი უკანასკნელი არა ყოფილიყოს!..

თ. მინავარდია

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

5 ნოემბერი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. მთავრობის წარმომადგენლად მომავალს კონფერენციაზედ რომში ანარქისტების შესახებ დანიშნულია რუსეთის ელჩი იტალიის სასახლეში ნელიდოვი. იმის თანაშემწედ იურიდიულსა და საპოლიციო და საადმინისტრაციო განყოფილებებში იგზავნებიან ობერ-პროკურორი სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტისა სლუჩევსკი და დირექტორი პოლიციის დეპარტამენტისა ზვოლიანსკი. კონფერენცია საქმეს შეუდგება 12 ნოემბერს.

ᲐᲓᲔᲡᲐ. დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს მოელიან 2 დეკემბერს და აქედგან სან-სტეფანში წავა რუსეთის მხედრობის დეპუტაციის მეთაურად, ეკკლესიის კურთხევაზე დასასწრებლად, რომელიც აშენებულია უკანასკნელ რუს-ოსმალთა ომის დროს დახოცილ მეომართა მოსაგონებლად. დეპუტაციას შეადგენენ აფიცრები და ჯარის კაცნი, რომელნიც წარსულ ომიანობის დროს ბალკანის იქითა მხარეს იყვნენ.

ᲞᲐᲠᲘᲟᲘ. იმ მოწმეთა შორის, რომელთაც პირველად ჩამოართმევს ჩვენებას საკასაციო პალატა და რომელთა ჩვენებაც დრეიფუსისათვის სასარგებლო უნდა იყვეს, პიკარი არის, რომელსაც დღეს გაანთავისუფლებენ სატუსაღოდგან. დაბეჯითებით ამბობენ, რომ იმ ქაღალდების საშუალებით, რომელნიც ესტერგაზის სახლში იპოვნეს, ძნელი არ იქმნება დამტკიცება იმისი, რომ ანრ-სა და ესტერგაზის ერთმანეთთან ფულის ანგარიში ჰქონიათ. მთავარს შტაბში თუ მართლა დაიკარგა საბუთის ქაღალდები და იმათი პოვნა გვინდა, ამ ორ კაცთ უნდა ჩავუდგეთ კვალში.

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ. ტცუნგ-ლიამენი დაჰპირდა ინგლის გერმანიის სინდიკატს პირობით შეკვრებით შესახებ რკინის გზის გამართვისა ტიან ძინიდგან ჩინგ-კიონგამდეო.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲞᲝᲚᲘ. სულთანმა გაუგზავნა რუსეთის იმპერატორს დეპეშა, რომლითაც მადლობას სწირავს ოსმალეთის მიერ რუსეთში გაგზავნილ დესპანების ჩინებურად დახვედრისათვის და აგრეთვე იმ მეგობრობის გამომხატველ წერილისათვის, რომელიც იმპერატორმა საკუთარის ხელით მისწერა სულთანს.

ოსმალეთის მთავრობამ ნება დართო ბულგარიის გემს „ნადეჟდას“, რომელიც ბორდოშია გაკეთებული, დარდანელის სრუტეში გავლისა.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. სავაჭრო პალატაში გამართულ ბანკეტზე ინგლისის მინისტრად ნამყოფმა გერშელმა, რომელიც მეჯლისს დაესწრო ვითარცა სტუმარი, პასუხად წარმოთქმულ სადღეგრძელოსი, აღნიშნა მეგობრობის გრძნობანი ინგლისელებისა და ამერიკელების შორის და ამავე დროს იკითხა, ნუ თუ შესაძლებელი არ იქმნება, რომ ამ ორივე სახელმწიფომ შეაერთონ თვისი ძალ-ღონე საგერის ომისათვის, თუ ვინიცობაა ამერიკას თავს დაესხა მესამე დიდი სახელმწიფო.

ᲙᲐᲜᲔᲐ. დღეს სამშობლოში ბრუნდება იტალიის ერთი რაზმი ჯარისა. მალე საფრანგეთში დაბრუნდება ფრანგების ჯარის ერთი რაზმი. შაქირ-ფაშა კონსტანტინეპოლში წავიდა.

ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠᲘ. ჩემბერლენმა სთქვა, რომ შეიარაღებას ხმელეთზედა და ზღვაზე საგნად არა ჰქონდა დაეშინებინა რომელიმე დიდი სახელმწიფო და ამიტომ სრულებით მუქარად არ უნდა ჩაითვალოს: ეს მხოლოდ გასაფრთხილებელი ღონისძიებაა. არ იქმნებოდა გონიერი საქციელი შეიარაღების შეჩერება იმ დრომდე, ვიდრე შიში არის. მე დარწმუნებული ვარო,—განაგრძო ორატორმა,—რომ მშვიდობიანობის მომხრეებს იმედი აქვთ, ფაშოდის საქმის შესახებ საფრანგეთის გარდაწყვეტილება იმას მოასწავებს, რომ საფრანგეთმა აღიარა ის პრინციპი, რომლის გულისათვის ჩვენ ვიბრძვით ეგვიპტეს სახელით, იმ ეგვიპტისა, რომლის გადარჩენა აოხრებისაგან ძვირად დაგვიჯდა ჩვენ და რომელიც კვლავ დავაყენეთ სასურველ ფეხზე. ჩვენ გვსურს ბატონობა იმ ადგილებისა, რომლებიც ოდესმე ეკუთვნოდნენ ეგვიპტეს, ან რომლებიც დერვიშების ხელში ჩავარდნენ. ეგვიპტესა და საფრანგეთის ადგილების შორის საზღვარის საქმემ შეიძლება გამოიწვიოს საისტორიო და საგეოგრაფიო გამოკვლევანი და მეგობრული მოლაპარაკება. ჩვენ, თუ გნებავთ, მზადა ვართ, საფრანგეთს ყოველ-ნაირი შეღავათი მივსცეთ, რათა მის ვაჭრებს ნილოსისაკენ გზა ხსნილი ჰქონდესთ, მაგრამ არას შემთხვევაში არ შეგვიძლიან მსჯელობა ვიქონიოთ იმ საგნის შესახებ, რაზედაც მე ეხლა მოგახსენეთ. ფაშოდიდგან მარშანის წასვლას თან უნდა მოჰყვეს ყველა იმ ადგილების დაცლა, რომელნიც ოდესმე ეგვიპტეს ეკუთვნოდა. მარშანი მხოლოდ განათლების წინამორბედი რო ყოფილიყო, ინგლისსა და საფრანგეთს შორის უთანხმოება დიდი ხნის წინად მოისპობოდა; მაგრამ ფაშოდის გამო ატეხილს დავამდინაც საფრანგეთთან სასურველი დამოკიდებულება არ გვქონია. სრულიად შეთანხმებისათვის საჭიროა, რომ საფრანგეთის პოლიტიკოსებმა თავი დაანებონ იმ საქციელს, რომელსაც ისინი მისდევდნენ რამდენიმე წლის განმავლობაში და აზრად ჰქონდათ ინგლისის პოლიტიკისათვის ხელი შეეშალათ ქვეყნის ყველა კუთხეში, იქაც-კი, სადაც საფრანგეთი არავითარს სარგებლობას არ გამოელის. ფაშოდის დაჭერა ისეთი საქციელი იყო, რომელიც ინგლისს მტრობის ნიშნად უნდა მიეღო. შემდეგ ჩემბერლენმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის მოთხოვნილებანი შესახებ ნიუ ვანდლენდისა თან და თან ძლიერდებოდა, რომ დასავლეთ აფრიკაში ინგლისი იძულებულ შეიქმნა ნება უნებურად დაეარხებინა ახალი ჯარი, რომლის საგანგებო დანიშნულება არის დაიცვას ეს ადგილები ფრანგების შემოსევისაგან, რომლებიც თავს ესხმოდნენ ინგლისის მფარველობის ქვეშ მყოფ ტომებს, ინგლისი არ ელოდდა ამ გვარ ქცევას იმ სახელმწიფოსაგან, რომელთანაც ჰსურდა მეგობრულის კავშირის დაჭერა. დასასრულ ჩემბერლენმა სთქვა, უწინ ინგლისსა და ამერიკას შორის ორი მიზეზი იყო უთანხმოებისა, ხოლო ეხლა ამერიკის ერმა იცის, რომ უკანასკნელობის დროს ინგლისელთა გული ამ ერისაკენ იყო. ამერიკელებიც ასეთისავე სამეგობრო გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი. ორატორმა იმედი განაცხადა, რომ ასეთი თანხმობა მომავალში უფრო გაძლიერდება და ეს ორი სახელმწიფო შესძლებს თავმდებობა გაუწიოს მთელს ქვეყანას მშვიდობიანობისა და ცივილიზაციისა.

Дозволено цензурою, Тифлисъ 5 го Ноября 1898 г

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი **ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ**